






გლობალური ბაზრების მიმოხილვა

გლობალური ბაზრები
პერიოდული
9 ივლისი, 2021

- ივლისის დასაწყისში მსოფლიო კაპიტალის ბაზრებზე ნეგატიური განწყობები აზიის ბაზრებიდან ჯერ ევროპაში და შემდეგ კი აშშ-ს ბაზრებზე გავრცელდა. COVID-19 დელტა ვარიანტის სწრაფი გავრცელებისა და მასთან დაკავშირებული ნეგატიური ეკონომიკური მოლოდინების ფონზე, აშშ-ს 10-წლიან სახაზინო ობლიგაციებზე შემოსავლიანობა რამდენიმეთვიან მინიმუმზე დაეცა და 7 ივლისისთვის 1.3% შეადგინა (ობლიგაციების შემოსავლიანობა და ფასი უკუპროპორციულია). აღსანიშნავია, რომ აშშ-ს 10-წლიან სახაზინო ობლიგაციაზე შემოსავლიანობამ 2021 წლის მარტში 1.78%-ს მიაღწია, რაც გაუმჯობესებულ ეკონომიკურ მოლოდინებს უკავშირდებოდა, თუმცა მოგვიანებით შემოსავლიანობა შემცირდა, განსაკუთრებით ივლისში. აღსანიშნავია, რომ კაპიტალის ბაზრებზე ასევე ნეგატიური გავლენა იქონია ნავთობის ფასების არასტაბილურობამ.
- ივლისში გაუარესებული მოლოდინების გამო, ინვესტორებმა შედარებით ნაკლებრისკიანი აქტივებისკენ გადაინაცვლეს, მათ შორის სახაზინო ობლიგაციებში. აღსანიშნავია, რომ S&P 500 ინდექსში მსხვილმა ტექნოლოგიურმა კომპანიებმა, როგორცაა Apple და Oracle, პანდემიის პირობებში ყველაზე კარგი შედეგი აჩვენეს, ხოლო შემცირებული საპროცენტო განაკვეთების ფონზე საბანკო სექტორმა შედარებით ცუდი შედეგი აჩვენა, ვინაიდან დაბალი საპროცენტო განაკვეთები უარყოფით გავლენას ახდენს ბანკების მომგებიანობაზე.
- 17 ივნისთან შედარებით, ივლისში მსოფლიოში აქციების ფასები გაიზარდა. S&P 500 ინდექსი 8 ივლისისთვის 4,321-მდე გაიზარდა, რაც 17 ივნისთან შედარებით 2.3%-იანი ზრდაა. აქვე აღსანიშნავია, რომ გაუარესებული ეკონომიკური მოლოდინების ფონზე, 8 ივლისს S&P 500 ინდექსი 0.9%-ით დაეცა. ამავე პერიოდში, ინვესტორების მხრიდან გაიზარდა ინტერესი ტექნოლოგიური კომპანიების მიმართ, შედეგად, ტექნოლოგიური აქციებით შედგენილი NASDAQ ინდექსი 2.8%-ით გაიზარდა, რაც საკმაოდ კარგი შედეგია. ევროპაში STOXX 600 ძირითადად უცვლელი დარჩა (-0.1%), ხოლო FTSE 250 ინდექსი 1.5%-ით გაიზარდა.



წყარო: ბლუმბერგი
შენიშვნა: 2021 წლის 8 ივლისის მდგომარეობით



- 29 ივნისს, ჩინეთის ტაქსის კომპანიამ Didi Chuxing-მა ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე პირველადი შეთავაზების გზით (IPO) \$4.4 მლრდ. მოიზიდა, რაც მას აშშ-ს საფონდო ბირჟებზე მეორე ყველაზე მსხვილ ჩინურ კომპანიად აქცევს, ალიბაბას შემდეგ. პირველადი შეთავაზებიდან რამდენიმე დღეში, ჩინეთის სახელმწიფო უწყებებმა მონაცემების უსაფრთხოების მიზნით, Didi Chuxing-ზე გამოძიება დაიწყეს და აპლიკაციაში ახალი მომხმარებლების დარეგისტრირება აკრძალეს. მარეგულირებელმა გამოძიების საფუძველად მონაცემების უსაფრთხოება დაასახელა. ამ სიახლის შემდეგ კომპანიის ფასები მნიშვნელოვნად, 20%-ით, დაეცა. Didi Chuxing-ის ფასების შემცირების პარალელურად, ფასები დავარდა სხვა ჩინურ ტექნოლოგიურ კომპანიებზეც. საერთო ჯამში, ჩინეთის Shanghai Composite ინდექსი 17 ივნისი-8 ივლისის შუალედში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.
- ივლისის დასაწყისში მნიშვნელოვნად გაიზარდა COVID-19-ის დელტა ვარიანტის გავრცელების ტემპი აზიაში, რამაც აღნიშნულ ქვეყნებში შეზღუდვების კიდევ უფრო გამკაცრება გამოიწვია. COVID-ის შემთხვევების სწრაფი ზრდის გამო, იაპონიის პრემიერ მინისტრმა ტოკიოში კიდევ ერთხელ გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ტოკიოს ოლიმპიადის მათხრობების გარეშე ჩატარდება. გაზრდილი COVID-ის შემთხვევების ფონზე, იაპონიის Nikkei 225 ინდექსი 2.9%-ით დავარდა და 8 ივლისისთვის 28,118 შეადგინა.

ნავთობი და ოქრო

- 5 ივლისს, OPEC ++-ის ქვეყნებმა უკვე მესამედ ვერ მიაღწიეს შეთანხმებას წარმოების ზრდაზე. დაპირისპირების მიზეზი მსოფლიოში ნავთობის ძირითადი მწარმოებლები - საუდის არაბეთი, რუსეთი და არაბთა გაერთიანებული საემიროები იყვნენ. შედეგად, ნავთობის ფასებმა 3-წლიან მაქსიმუმს მიაღწია და 8 ივლისისთვის WTI-ის ტიპის ნავთობის ფასმა ბარელზე \$72.9 შეადგინა, ხოლო Brent-ის ტიპის ნავთობის ფასი კი ბარელზე \$74.1 იყო.
- მსოფლიოში ოქროს ფასების შემცირება ივლისის პირველ კვირაშიც გაგრძელდა და 8 ივლისისთვის ფასი უნციაზე \$1,802-მდე დაეცა.

Volatility/მერყეობა ბაზარზე

- Cboe Volatility (მერყეობის) ინდექსი, VIX, 8 ივლისისთვის მცირედით გაიზარდა და 19.0 შეადგინა.



წყარო: ბლუმბერგი
შენიშვნა: 2021 წლის 8 ივლისის მდგომარეობით

მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების არზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ დამომართობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილვებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ან ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევის, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდითთ ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დისტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დისტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

კვლევების დეპარტამენტის უფროსი

ევა ბოჭორიშვილი | evabochoishvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი

ანა ნაჭყებია | ananachkebia@gt.ge

გალტ ენდ თაგარტი

მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102,

საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: research@gt.ge